ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 274

ქალაქი ქუთაისი 27 მარტი 2024 წელი

გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „EU4Culture" ხელშეწყობით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში, პროექტის: „კულტურის განვითარების სტრატეგიის საფუძველზე შერჩეული ღონისძიებების ხელშეწყობის" ფარგლებში განხორციელდება ქუთაისის სახალხო ხელოვნების ფესტივალი, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის კულტურის განვითარების სტრატეგიის მდგრადობას დინამიური კულტურული ეკოსისტემის ხელშეწყობით. იგი გულისხმობს ინოვაციურ შემოქმედებით ჩართულობას „CDS" მიზნების შესაბამისად, მრავალმხრივი შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობისა და განვითარების გზით. პროექტი ითვალისწინებს ქუთაისის მიერ კულტურის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში აღებული ვალდებულებების პრაქტიკულ შესრულებას. გოეთეს ინსტიტუტი თანახმაა გამოყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში პროექტის განსახორციელებლად გრანტი 30000 ევროს ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, გოეთეს ინსტიტუტისგან მიიღოს 30000 (ოცდაათი ათასი) ევროს ოდენობის გრანტი და გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
მას. № 115
28 03 2024 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო